

SUBWAY GROUP (საბვეი გრუპის) კონფიდენციალობის განცხადება

ბოლო განახლების შეტანის თარიღი: 2019 წლის 9 იანვარი

თქვენი კონფიდენციალობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ შევიმუშავეთ კონფიდენციალობის განცხადება, რომელშიც აღწერილია თუ როგორ ვაგროვებთ, ვიყენებთ, ვამჟღავნებთ, გადავცემთ და ვინახავთ თქვენს ინფორმაციას. ის ასევე გატყობინებთ თქვენს პირად მონაცემებთან დაკავშირებით თქვენი უფლებების თაობაზე.

როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ

გთხოვთ, დაგვიკავშირდით თუ მოცემული კონფიდენციალობის განცხადების განხილვის შემდეგ, თქვენ ისურვებთ რომ მოგვმართოთ თხოვნით ან ნებისმიერი შეკითხვებით ან შეგვატყობინოთ თქვენი შემფოთება კონფიდენციალურობის საკითხებთან დაკავშირებით:

Subway Group-ის კონფიდენციალობის გუნდი
ადრესატი: Franchise World Headquarters, LLC
325 Sub Way
Milford, CT, 06461
USA (აშშ)

ტელეფონის ნომერი: (203) 877-4281 ან უფასო ნომერი: 1-800-888-4848

ფაქსი: (203) 783-7479

ელფოსტის მისამართი: privacy@subway.com

1. ამ განცხადების შესახებ
2. ჩვენს მიერ შეგროვებული პირადი ინფორმაცია
3. როგორ ვიყენებთ თქვენს პირად ინფორმაციას
4. თქვენი ინფორმაციის გაზიარება
5. სამიზნე რეკლამა
6. უარის განცხადება
7. თქვენი უფლებები და არჩევანი
8. საერთაშორისო ტრანსფერები და კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმება
9. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს ინფორმაციას
10. ბავშვების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა
11. უსაფრთხოების სხვა ზომები
12. ჩვენი ჯგუფის კომპანიები

1. ამ განცხადების შესახებ

Subway Group. Subway Group (საბვეი გრუპი) (ჩვენი ან ჩვენი) მოიცავს რამდენიმე კომპანიას, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, შპს Subway IP (ჩვენი საკუთრების სისტემის მფლობელი რესტორნების შექმნის და მუშაობის მიზნით Subway® რესტორნების მსოფლიო მასშტაბით განვითარებისათვის), შპს FWH Technologies (SubwayPOS® პროგრამული უზრუნველყოფის მფლობელი და ლიცენზიარი Subway® რესტორნებში მსოფლიო მასშტაბით გამოსაყენებლად), შპს Franchise World Headquarters (სერვისზე ორიენტირებული კომპანია, რომელიც Subway Group-ის სხვა კომპანიებს უზრუნველყოფს ძირითად ბიზნესთან დაკავშირებული სერვისით), Subway® ფრანჩაიზერები (რომლებიც სთავაზობენ და ყიდნიან ფრანშიზას მსოფლიო მასშტაბით) და Subway® სარეკლამო საწარმოები (რომლებიც აწარმოებენ ეროვნული და ადგილობრივი სარეკლამო ფონდების მართვასა და საქიანობას Subway®

რესტორნებისა და Subway® ფრანშიზის მფლობელებისთვის მსოფლიო მასშტაბით). Subway Group-ის საწარმოების ჩამონათვალი, რომლებსაც შეიძლება კონტაქტი ჰქონდეთ თქვენს ინფორმაციასთან, გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ ნაწილში “ჩვენი ჯგუფის კომპანიები”

რას შეეხება მოცემული განცხადება. მოცემული კონფიდენციალურობის განცხადება შეეხება პირად ინფორმაციას, რომელსაც Subway Group აგროვებს, როდესაც თქვენ ურთიერთობა გაქვთ ბრენდთან Subway® ონლაინსა და ინტერნეტთან კავშირის გარეშე. ეს მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელსაც აგროვებენ ჩვენი ვებსაიტები, WiFi სერვისები ან მსგავსი ტექნოლოგია, რომელსაც უზრუნველყოფს Subway® რესტორნები, სავაჭრო ბრენდირებული გვერდები მესამე მხარეების პლატფორმებზე (მაგ. სოციალური ქსელების სერვისები), მობილური აპლიკაციები, და ჩვენი უშუალო მარკეტინგული კომპანიების ან კომუნიკაციის სხვა გზების მეშვეობით, ასევე, როდესაც იძენთ ჩვენს პროდუქციას, იწერთ ჩვენს სიახლეებს და წინადადებებს, მონაწილეობას ღებულობთ ჩვენს რომელიმე სარეკლამო აქციაში ან როდესაც დაუკავშირდებით ჩვენს მომხმარებლის მხარდაჭერის სამსახურს (ერთობლივად “Subway სერვისები”).

რას არ შეეხება მოცემული განცხადება. ეს განცხადება არ შეეხება (1) Subway სერვისებს, რომლებსაც გამოქვეყნებული აქვთ კონფიდენციალურობის სხვა განცხადება (2) მესამე მხარის ვებსაიტებს, მათ შორის, იმ ვებსაიტებს, რომლებსაც ამუშავებენ Subway® ფრანშიზის მფლობელები. Subway® რესტორნებს ფლობენ და ამუშავებენ Subway® ფრანშიზის დამოუკიდებელი მფლობელები. თითოეული რესტორანი პირადად და დამოუკიდებლად პასუხისმგებელია საკუთარ შესაბამისობაზე სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებთან, და მისი კონფიდენციალურობის განცხადება არ მიესადაგება Subway® ფრანშიზის მფლობელებს ან მათ მიერ მართვად ვებსაიტებს ან მობილურ აპებს. გთხოვთ, იხილოთ Subway® ფრანშიზის მფლობელთა კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინებები იმის თაობაზე, თუ როგორ იყენებენ ისინი მომხმარებლის ინფორმაციას. არსებობს შემთხვევები, როდესაც ჩვენ გვაქვს ბმული მესამე მხარის ვებსაიტებზე. თუ გასურთ ეწვიოთ მოცემულ ვებსაიტებს, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებლები ამ ვებსაიტების კონფიდენციალურობის დაცვის საქმიანობაზე ან მათ შიგთავსზე. გირჩევთ, გაეცნოთ ამ ვებსაიტების კონფიდენციალურობის წესებს მათთვის თქვენი პირადი ინფორმაციის მიწოდებამდე. ზოგიერთმა მესამე მხარემ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ გაგვიზიაროს ინფორმაცია საკუთერი მომხმარებლების შესახებ; ეს ინფორმაცია ექვემდებარება ამ კომპანიის კონფიდენციალურობის წესებს და არა მოცემულ კონფიდენციალურობის განცხადებას

ამ განცხადების ცვლილებები. ამ განცხადებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ჩვენ თხოვნის მიღებისას მოგაწვდით წინა ვერსიებს იმისთვის, რომ გაიგოთ თუ როდის მოხდა ეს ცვლილებები და რაში მდგომარეობს ისინი. ამ განცხადებაში ნებისმიერი მატერიალური ხასიათის ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შეგატყობინებთ ამ ვებსაიტის ან ელ. წერილის საშუალებით (რომელსაც გავაგზავნი თქვენს ანგარიშში მითითებულ ელფოსტაზე). იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონები, ჩვენ ასევე მოვითხოვთ თქვენს თანხმობას ნებისმიერ მატერიალური ხასიათის ცვლილებაზე, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ჩვენს მიერ თქვენი პირადი ინფორმაციით სარგებლობაზე. გირჩევთ პერიოდულად გადაამოწმოთ მოცემულ გვერდზე უახლესი ინფორმაცია ჩვენი კონფიდენციალურობის დაცვის საქმიანობის თაობაზე.

2. ჩვენ მიერ შეგროვებული პირადი ინფორმაცია

ჩვენ მიერ შეგროვებული პირადი ინფორმაცია სამ კატეგორიად იყოფა: (ა) ინფორმაცია, რომელსაც უშუალოდ თქვენ გვაწვდით; (ბ) ინფორმაცია, რომელსაც ვაგროვებთ ავტომატიზირებული მეთოდებით; და (გ) ინფორმაცია, რომელსაც მესამე მხარეებისგან ვაგროვებთ.

ინფორმაცია, რომელსაც უშუალოდ თქვენ გვაწვდით

როდესაც Subway სერვისებს იყენებთ, ჩვენ შეიძლება გთხოვოთ გარკვეული პირადი ინფორმაციის მოწოდება ჩვენი პროდუქტების შესამენად ან ცვენი სერვისებით სარგებლობისთვის. თქვენგან მიღებული პირადი ინფორმაცია დამოკიდებულია თქვენი ჩვენთან ურთიერთობის ხასიათზე ან იმ Subway სერვისებზე, რომლებსაც იყენებთ, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- *საკონტაქტო ინფორმაცია.* ჩვენ შეიძლება შევავროვოთ პირადი და/ან საწარმოს საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის, თქვენი სახელი, გვარი, საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ელფოსტის მისამართი და სხვა მსგავსი მონაცემები.
- *გადახდის შესახებ ინფორმაცია.* თუ ონლაინ შესყიდვას აწარმოებთ, თქვენ მოგეთხოვებათ საკრედიტო/სადებიტო ბარათის და მისი შესაბამისი საფინანსო ინფორმაციის (როგორცაა მოქმედების ვადა, უსაფრთხოების კოდი და გადასახადის მისამართი) ან სხვა გადახდის სხვა მეთოდთან (როგორცაა ჩვენი Subway® ბარათი) დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდება.
- *ანგარიშის შესახებ ინფორმაცია.* ჩვენ ვავროვებთ ისეთ ინფორმაციას, როგორცაა თქვენი მომხმარებლის სახელი და პაროლი, როდესაც ქმნით ანგარიშს, გაქვთ ჩვენს ონლაინ მომსახურებაზე წვდომა ან ჩვენს ახალ პროდუქტს ყიდულობთ. ანგარიშის შესახებ ინფორმაცია ასევე შეიძლება მოიცავდეს მეთოდს, თუ რა გზით შეიძინეთ ან როგორ გამოიწერეთ Subway სერვისები, თქვენს ტრანზაქციებს, გადახდის და მხარდაჭერის სერვისით სარგებლობის ისტორიას და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია თქვენ მიერ შექმნილ ანგარიშთან.
- *გამოყენების მონაცემები.* ეს არის ის პირადი მონაცემები, რომლებსაც თქვენ შესახებ ვავროვებთ როდესაც სარგებლობთ Subway სერვისებით, რომლებიც შეიძლება მოცავდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის განახორციელეთ სისტემაში შესვლა ან ინფორმაციას თქვენ მიერ მესამე მხარის აპლიკაციებით სარგებლობის და თქვენ მიერ მიღებული რეკლამის შესახებ.
- *მარკეტინგი და კომუნიკაცია.* ჩვენ ასევე ვავროვებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ანიჭებთ უპირატესობას ჩვენი და მესამე მხარეების მარკეტინგული მომსახურებით სარგებლობისას.
- *უსაფრთხოების მონაცემები.* ჩვენ ვავროვებთ ინფორმაციას თქვენი მომხმარებლის სახელის, პაროლების, ელფოსტის შესახებ და მსგავს ინფორმაციას, რომელიც საჭიროა თქვენი Subway® ანგარიშების აუთენტიკაციისა და მათზე წვდომისათვის.
- *სოციალური მედიით მიღებული ინფორმაცია.* თქვენ შეიძლება ასევე მოგეცეთ თქვენს Facebook-თან ან სოციალური ქსელების სხვა ანგარიშებთან ბმულით დაკავშირების საშუალება Subway სერვისებიდან. თქვენ მიერ მოცემული ფუნქციით სარგებლობას შეიძლება შედეგად მოყვეს თქვენ შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება, რაც დამოკიდებულია მოცემული ფუნქციის თავისებურებებზე. მაგალითად, მოცემულ ფუნქციებს შეუძლია ინფორმაციის მიღება თქვენი IP მისამართის შესახებ, იმის თაობაზე, თუ ჩვენი საიტის რომელ გვერდს სტუმრობთ და შეუძლია ქუჩი-ფაილის პარამეტრების დაყენება ფუნქციის სათანადო მუშაობისათვის. მათ ასევე შეუძლიათ მესამე მხარის სოციალური ქსელის სერვისებს მისცენ თქვენს შესახებ ინფორმაციის, მათ შორის, თქვენი სახელის, გვარის, ელფოსტის მისამართის და სხვა საკონტაქტო ინფორმაციის შეგროვების უფლება. ჩვენ მიერ მიღებული მოცემული ინფორმაცია დამოკიდებულია თქვენს კონფიდენციალობის პარამეტრებზე ამ სოციალურ ქსელში. ჩვენ გირჩევთ გაეცნოთ თქვენ მიერ გამოყენებული სოციალური ქსელის საიტების

კონფიდენციალობის წესებს და პარამეტრებს, რათა დარწმუნდეთ, რომ გესმით თუ რა ინფორმაციას აგროვებენ, იყენებენ და აზიარებენ მოცემული საიტები.

- *მომხმარებლის სერვისი, გამოკითხვები და სარეკლამო აქციები.* შეიძლება ისე მოხდეს, რომ თქვენ მოგვაწოდოთ დამატებითი პირადი ინფორმაცია, როდესაც ჩვენს მომხმარებლის მხარდაჭერის არხებთან გაქვთ ურთიერთობა ონლაინ ან ტელეფონით ან ელფოსტით, როდესაც მონაწილეობთ ჩვენს მომხმარებლის გამოკითხვებსა და სარეკლამო აქციებში ან Subway სერვისების მიწოდების ხელშესაწყობად ან იმისთვის, რომ დაგეხმაროთ თქვენს კითხვებზე პასუხის გაცემაში. დამატებითი სახის პირადი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ხმოვან ჩანაწერებს, ფოტოებს და ვიდეოს.
- *ინფორმაცია, რომელსაც გვაწვდით მესამე მხარის შესახებ.* შეიძლება გადაწყვიტოთ ჩვენთვის სხვა პირის შესახებ ინფორმაციის მოწოდება (როგორცაა მისი სახელი და გვარი, ელფოსტა, მისამართი ან ტელეფონის ნომერი) იმისთვის, რომ შევძლოთ რეკომენდაცია მივაწოდოთ ან გავუზიაროთ პროდუქცია ან სერვისი ამ პირს. ადგილობრივი კანონით, შეიძლება სავალდებულო იყოს ამ პირის თანხმობის მიღება მისი ინფორმაციის Subway Group-ისთვის მისაწოდებლად. ჩვენ კი შეიძლება გამოვიყენოთ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურობის მოცემული განაცხადის შესაბამისად.
- *თუ ვერ მოგვაწვდით თქვენს პირად ინფორმაციას.* იმ შემთხვევაში, თუ კანონის ან თქვენთან დადებული კონტრაქტის სხვა პირობების შესაბამისად, დაგვჭირდება თქვენი პირადი ინფორმაციის შეგროვება და, ჩვენი თხოვნის შემთხვევაში, თქვენ ვერ მოგვაწვდით მოცემული ინფორმაციას, ჩვენ შეიძლება ვერ შესვასრულოთ გაფორმებული ან თქვენთან გასაფორმებელი კონტრაქტის მოთხოვნები (მაგალითად, თქვენთვის პროდუქტის ან სერვისის მოსაწოდებლად). ამ შემთხვევაში შეიძლება დაგვჭირდეს მოცემული კონტრაქტის გაუქმება და შესაბამისად, შეგატყობინებთ ამის შესახებ.

ავტომატურად შეგროვებული ინფორმაცია

როდესაც თქვენ ეწვევით Subway სერვისებს და ასევე მესამე მხარის რეკლამის განმცხადებლებს და/ან სერვისის პროვაიდერებს, ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე ტექნოლოგია, რომელიც ავტომატურად ან პასიურ რეჟიმში აგროვებს ინფორმაციას თქვენი ონლაინ აქტივობის შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება შემდეგნაირად შეგროვდეს:

- *მოწყობილობის და ტექნიკური მონაცემები.* ჩვენ ტექნიკურ მონაცემებს ვაგროვებთ როდესაც თქვენ სტუმრობთ ჩვენს ვებსაიტებს ან იყენებთ ჩვენს მობილურ აპლიკაციებს ან სერვისებს ეს მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა თქვენი ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართი, თქვენი მომხმარებლის სახელის მონაცემები, თქვენ მიერ გამოყენებული მობილური მოწყობილობის ტიპი, თქვენი მოწყობილობის საოპერაციო სისტემა და ბრაუზერის ტიპი, დროის ზონის პარამეტრი და მდებარეობა, ენა, მოწყობილობის უნიკალური იდენტიფიკატორი, მომმართველი ვებსაიტის მისამართი, გზა, რომლითაც შემოდიხართ ჩვენს ვებსაიტებზე და სხვა ინფორმაცია ჩვენს ვებსაიტებზე თქვენი სესიის თაობაზე.
- *ქუჩი-ფაილები და სხვა ტექნოლოგია.* ჩვენ და ჩვენი მესამე მხარე სერვისის პროვაიდერები ვიყენებთ ისეთ ტექნოლოგიებს, როგორცაა ქუჩი-ფაილები, ვებ-შუქურები, უნიკალური სარეკლამო იდენტიფიკატორები და მობილური მოწყობილობის იდენტიფიკატორები იმისთვის, რომ შევავროვოთ ინფორმაცია თქვენ მიერ ჩვენი ვებსაიტებით და მობილური მოწყობილობებით სარგებლობის შესახებ. მაგალითად, ეს მოიცავს ინფორმაციას საჯარო მონაცემთა ბაზებიდან ან მონაცემთა აგრეგატორებიდან, რომელშიც შეიძლება შედიოდეს თქვენი დემოგრაფიული ინფორმაცია, სარეკლამო საშუალებების გამოყენების, წინა

შესყიდვების, ყიდვის ჩვევების, ლოიალობის პროგრამის მონაცემები, ასევე ინფორმაცია თქვენი ცხოვრების სტილის შესახებ. დამატებითი ინფორმაციისათვის, მათ შორის, იმის შესახებ, თუ რა ტიპის ქუჩი-ფაილები არის Subway® ვებსაიტებზე და როგორ უნდა აკონტროლოთ ისინი, გთხოვთ, ქვემოთ წაიკითხოთ Subway ჯგუფის ქუჩი-ფაილების წესები და “სამიზნე რეკლამირების” ნაწილი.

- *გეოლოკაციის მონაცემები.* ჩვენ შეიძლება შევავროვოთ ინფორმაცია თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ როდესაც დაყენებულია თქვენი მოწყობილობის მდებარეობის ინფორმაციის პარამეტრი. მაგალითად, თქვენი მოწყობილობის GPS საშუალებას გვამძლევს გაჩვენოთ უახლოესი Subway® რესტორანი. ჩვენ ვიყენებთ ჩვენს სერვის პროვაიდერს Google’s Maps API Google-ის [მომსახურების პირობების](#) თანახმად, რომლებზეც თანხმობას აცხადებთ, და ადგილმდებარეობის განსაზღვრის სხვა სერვისებს იმისათვის, რომ დაგვეხმაროს უახლოესი ადგილმდებარეობის მიხედვით. მარკეტინგში. უმეტესი მობილური მოწყობილობების და კომპიუტერული სისტემების შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი ნებართვა ჩვენ მიერ თქვენი მოცემული ინფორმაციის შეგროვებაზე თქვენი ბრაუზერის ან მოწყობილობის პარამეტრების გამოყენებით. თქვენი Google Maps API ნებართვის პარამეტრის გასაუქმებლად, გთხოვთ, მიყევთ Google-ის [მომსახურების პირობებს](#). თუ შეკითხვები გაქვთ იმის თაობაზე, თუ როგორ შეგიძლიათ არ დაგვრთოთ თქვენი მდებარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის შეგროვების უფლება, გირჩევთ დაუკავშირდეთ თქვენს მობილური მოწყობილობის პროვაიდერს, მოწყობილობის მწარმოებელს ან თქვენი ვებ-ბრაუზერის პროვაიდერს. ზოგიერთმა ონლაინ სერვისმა და რესტორნის ტექნოლოგიამ შეიძლება სათანადოდ ვერ იმუშავოს თქვენი მდებარეობის შესახებ ინფორმაციის გარეშე.

მესამე მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია

ჩვენ შეიძლება შევავროვოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ სხვა კომპანიებისა და ორგანიზაციებისგან, მათ შორის, საჯარო მონაცემთა ბაზებიდან, სოციალური ქსელების პლატფორმებიდან, ჩვენი მესამე მხარე მარკეტინგის პარტნიორებისგან ან სხვადასხვა დამოუკიდებელი შემსყიდველი ორგანიზაციისგან, რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ მათი სერვისით ისარგებლონ Subway® ფრანშიზის მფლობელებმა.

დამოუკიდებელმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შეიძლება მხარდაჭერის სხვადასხვა ფუნქციით უზრუნველყონ Subway® ფრანშიზის მფლობელები ამ რეგიონში. მხარდაჭერის ფუნქციები შეიძლება მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს ლოიალობის და სასაჩუქრე ბარათების პროგრამებით, რომლებშიც ისინი შეიძლება მუშაობდნენ დამოუკიდებელ შემსყიდველ ორგანიზაციასთან ერთად ერთიანი მარკეტინგული ძალებით ამ პროგრამებთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი შემსყიდველი ორგანიზაციები, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ, არიან Independent Purchasing Cooperative, Inc. (შეერთებული შტატები, მათი ტერიტორიები და კანადა), შპს Independent Purchasing Company (ავსტრალია). (აზია, ავსტრალია და ახალი ზელანდია), Latin American and Caribbean Independent Purchasing Company (ლათინური ამერიკა და კარიბის კუნძულები), Independent Purchasing Company Europe Limited (ევროპა) და შპს Middle East Independent Purchasing Company (MEIPC) (ახლო აღმოსავლეთი)

ჩვენ შეიძლება ასევე შევავროვოთ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. მაგალითად, შეგვიძლია შევავროვოთ საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ თუ როდის ურთიერთობთ ჩვენთან სოციალური ქსელების მეშვეობით. თქვენ შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგროვებით, ჩვენ ვასწორებთ არაზუსტ ინფორმაციას, ვზრდით ჩვენი ტრანზაქციების უსაფრთხოებას და გაწვდით პროდუქტთან დაკავშირებით რეკომენდაციებს და სპეციალურ წინადადებებს, რომლებმაც, სავარაუდოდ, უნდა დაგაინტერესოს.

შერწყმული ინფორმაცია

ჩვენ მიერ შეიძლება შერწყმული იყოს თქვენ შესახებ მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია, რომელსაც უშუალოდ ჩვენ გვაწვდით და ის ინფორმაცია, რომელსაც ავტომატურად ვაგროვებთ Subway სერვისების მეშვეობით, ასევე თქვენ მიერ გამოყენებული სხვა კომპიუტერებიდან ან მოწყობილობებიდან შეგროვებულ ინფორმაცია, სხვა ონლაინ ან ინტერნეტ კავშირის გარეშე სერვისებიდან და მესამე მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია. თუ ჩვენ გავაერთიანებთ თქვენს პირად და არა-პირად ინფორმაციას, მოცემულ შერწყმულ ინფორმაციას მოვეპყრობით ისე როგორც პირად ინფორმაციას, მოცემული კონფიდენციალურობის განცხადების შესაბამისად.

ანონიმური და აგრეგირებული ინფორმაცია

ანონიმური და აგრეგირებული ინფორმაციის საშუალებით არ ხდება კონკრეტული პირის იდენტიფიკაცია და ეს არ არის პირადი ინფორმაცია. ამ ინფორმაციას სხვადასხვა დანიშნულებით ვიყენებთ, მათ შორის მომხმარებელთა Subway სერვისებით სარგებლობისას მომხმარებელთა ინტერესის განსაზღვრის, შიდა ანალიზების წარმოების, მონაცემთა ანალიტიკისა და კვლევის წარმოების მიზნებით. ასევე შეიძლება გავუზიაროთ ანონიმიზებული აგრეგირებული ინფორმაცია მესამე მხარეებს ჩვენი ან მათი მიზნებით, მაგრამ ამ ინფორმაციის რაიმე ნაწილის გამოყენება დაუშვებელი იქნება თქვენი იდენტიფიკაციის ან თქვენი რაიმე სხვა პირადი დეტალის დადგენის მიზნით.

3. თქვენი პირადი ინფორმაციის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი

ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია შემდეგნაირად.

ჩვენი სერვისების უზრუნველსაყოფად და თქვენთან შესათანხმებლად იმისთვის, რომ:

- შევასრულოთ თქვენი თხოვნები, შეკვეთები და დავამუშავოთ გადახდა ჩვენი პროდუქტების და სერვისების შესაძენად.
- დაგიკავშირდეთ თქვენს შეკვეთებთან, შესყიდვებსა და ჩვენთან თქვენს გახსნილ ანგარიშებთან დაკავშირებით, მათ შორის, იმისთვის, რომ დავამუშავოთ ნებისმიერი თხოვნები, შეკითხვები ან შენიშვნები, რომლებიც შეიძლება გქონდეთ.
- მოგაწოდოთ ონლაინ სერვისები, რაც მოიცავს ჩვენს ვებსაიტებს და/ან მობილურ მოწყობილობებს; და
- უზრუნველგყოთ მომხმარებლის მხარდაჭერის სამსახურით, მათ შორის, დავამუშავოთ თქვენი ნებისმიერი განცხადება ჩვენს სერვისებთან დაკავშირებით რაიმე შემფოთების თაობაზე.

თქვენთან ვაჭრობის მიზნით, ჩვენი სერვისების გასაუმჯობესებლად და შემდეგი კანონიერი ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე:

- შეგატყობინოთ ჩვენი პროდუქციის და სერვისების, კონკურსების, წინადადებების, სარეკლამო აქციების ან სპეციალური ღონისძიებების თაობაზე, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შეიძლება დაგაინტერესოთ, როდესაც იქნებით Subway® ლოიალობის პროგრამის მონაწილე;
- თქვენთვის ინდივიდუალური შთაბეჭდილებების უზრუნველსაყოფად ჩვენს რესტორნებსა და ონლაინ სერვისებში;
- შევამოწმოთ თქვენი ვინაობა ან შეგატყობინოთ თქვენი საქმიანობის შესახებ Subway სერვისებთან დაკავშირებით;

- ვმართოთ ჩვენი ბიზნეს საქმიანობა, მათ შორის, განვავითაროთ ახალი პროდუქცია და სერვისები, ვაწარმოოთ მომხმარებლის და ოპერაციების კვლევა და შევავასოთ ჩვენი გაყიდვების, მარკეტინგის და სარეკლამო საქმიანობის ეფექტურობა.
- გამოვიყენოთ ანალიტიკის და პროფილირების ტექნოლოგია რომ ინდივიდუალურად გავამდიდროთ თქვენი შთაბეჭდილებები; მოგაწოდოთ თქვენს ინტერესებზე მორგებული შინაარსი (მათ შორის, რეკლამა) და შეგატყობინოთ თუ როგორ უნდა გამოიყენოთ Subway სერვისები (დამატებითი ინფორმაციისათვის, იხილეთ ქვემოთ “სამიზნე რეკლამირება”);
- დაუკავშიროთ ერთმანეთს და გავაერთიანოთ სხვებისგან მიღებული ინფორმაცია რათა დაგვეხმაროს იმის გაგებაში თუ რა გჭირდებათ, გამოვიყენოთ ინტერესზე აგებული ან სამიზნე რეკლამირება ან რეტარგეტინგი თქვენს კომპიუტერებზე ან სხვა მოწყობილობაზე;
- ვუზრუნველყოთ ჩვენი ქსელების და სისტემების უსაფრთხოება, მათ შორის, ხელი შევუწყოთ ტექნიკური და სერვისის პრობლემების დიაგნოსტიკას, ხარვეზების, შეცდომების და დეფექტების აღმოფხვრას თქვენს ანგარიშთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით.

მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისათვის:

- თაღლითობისა და სხვა დანაშაულისგან, სარჩლებისა და პასუხისმგებლებისგან დასაცავად;
- სამართლებრივ მოთხოვნებსა და ჩვენს წესებთან შესაბამისობისთვის;
- იურიდიული სარჩლის წარსადგენად ან მის გასაჩივრებლად; და
- მოთხოვნების შესაბამისობის პრობლემების მონიტორინგისა და მათ შესახებ მოხსენებისთვის.

საჯარო ინტერესებისთვის:

- ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ თქვენი პირადი ინფორმაცია თუ გვექნება გონივრული საფუძველი ვარაუდისა, რომ არსებობს უსაფრთხოების ან პროდუქტის მხრივ პრობლემა, რომელიც უნდა გაგიმჟღავნოთ თქვენ ან ხელმძღვანელ სტრუქტურებს და თქვენი ინფორმაციის გამოყენება თავიდან აგაცილებთ საფრთხე ან შესაძლოა შეამციროს საფრთხე, რომელიც გემუქრებათ თქვენ ან სხვა პირებს.

თქვენი თანხმობის საფუძველზე (თუ ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა), შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია შემდეგი მიზნებით:

- იმისთვის, რომ გამოგიგზავნოთ ელ. წერილები ან ტექსტური გზავნილები თქვენი პროდუქციის და სერვისების, კონკურსების, წინადადებების, სარეკლამო აქციების ან სპეციალური ღონისძიებების შესახებ, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შეიძლება დაგაინტერესოთ;
- რომ გამოგიგზავნოთ ელ. წერილები ან ტექსტური შეტყობინებები ჩვენი ბიზნეს პარტნიორების პროდუქტის და სერვისების შესახებ.
- თქვენთვის ვუზრუნველყოთ სერვისის ადგილმდებარეობის მიხედვით.
- იმისთვის, რომ გამოვიყენოთ ქუქი-ფაილები და მსგავსი ტექნოლოგიები.

ჩვენ შეიძლება სხვაგვარად გამოვიყენოთ თქვენს შესახებ შეგროვებული ინფორმაცია, რასაც შეგატყობინებთ როდესაც მოხდება მისი შეგროვება და რაზედაც თქვენ გთხოვთ ნებართვას იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა.

4. თქვენი ინფორმაციის გაზიარება

ჩვენ არ ვყიდით თქვენს რომელიმე პირად ინფორმაციას, მათ შორის, თქვენს სახელს და გვარს, მისამართს, ელფოსტის მისამართს ან საკრედიტო ბარათის ინფორმაციას რომელიმე მესამე მხარეზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენგან მიღებული ან თქვენს შესახებ შეგროვებული ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების კომპანიებს შემდეგნაირად:

Subway Group-ში

Subway Group შეიძლება გაუზიაროს თქვენი ინფორმაცია ჩვენს საწარმოებს იმისთვის, რომ მათ მართონ თქვენი ლოიალობის პროგრამები, დაამუშავონ შეკვეთები და თხოვნები და გააფართოვონ ან რეკლამირება გაუწიონ ჩვენი პროდუქციის და სერვისის წინადადებებს. Subway Group-ის იმ წევრება, რომლებიც მიიღებენ თქვენს პირად ინფორმაციას, არ ექნებათ ამ ინფორმაციის გამოყენების ან გაზიარების უფლება, გარდა მოცემულ კონფიდენციალურობის განცხადებაში მითითებულისა.

მესამე მხარეებთან

Subway® ფრანშიზის მფლობელები და დეველოპმენტის აგენტები. თუ ისურვებთ ჩვენთან დაკავშირებას და Subway® ფრანშიზის მფლობელის რესტორანში თქვენი შთაბეჭდილებების გაზიარებას, ჩვენ შეიძლება თქვენი ინფორმაცია გავუზიაროთ Subway® ფრანშიზის მფლობელს იმისთვის, რომ მან დაამუშავოს თქვენი თხოვნა, თქვენი დადებითი შეფასება ან საჩივარი. ჩვენ ასევე შეიძლება გავუზიაროთ თქვენი ინფორმაცია განვითარების აგენტს, რომელიც ზედამხედველობას უწევს რესტორნის ოპერაციებს. განვითარების აგენტები Subway® ფრანჩაიზერის დამოუკიდებელი კონტრაქტორებია, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფრანშიზის ზრდაზე კონკრეტულ ტერიტორიაზე.

დამოკიდებული შემსყიდველი ორგანიზაციები. თქვენი რეგიონის მიხედვით, ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენი პირადი ინფორმაცია თქვენს ბაზარზე მოქმედ დამოუკიდებელ შემსყიდველ ორგანიზაციას და მის ფილიალებს ონლაინ შესყიდვებთან, სასაჩუქრე ბარათების რეგისტრაციასა და ლოიალობის პროგრამების მართვასთან დაკავშირებით.

მესამე მხარე სერვისის პროვაიდერები. შეიძლება თქვენი ინფორმაცია გავუზიაროთ იმ მომწოდებლებს, რომლებიც ჩვენთვის სერვისებს უზრუნველყოფენ, როგორცაა ბიზნესის, პროფესიული ან ტექნიკური მხარდაჭერის ფუნქციები. ეს მოიცავს შემდეგს, მაგრამ ამით არ შემოიფარგლება: სერვისის პროვაიდერები, რომლებიც მასპინძლობას უწევენ ან ამუშავებენ Subway სერვისებს; გადახდის პროცესორები; მონაცემთა დამუშავების და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიის სერვისები; კვლევების და ანალიზების წარმოება, მომხმარებლის შთაბეჭდილებების მართვის სერვისების უზრუნველყოფა და მომხმარებლის გამოცდილების ინდივიდუალურ მოთხოვნებზე მორგება. მოცემულ მომწოდებლებს არ ვაძლევთ მოცემული ინფორმაციის გამოყენების უფლებას სხვა მიზნებით, გარდა ჩვენი სახელით სერვისის უზრუნველყოფა.

სხვა მესამე მხარეები: თქვენი პირადი ინფორმაცია სევე შეგიძლიათ გაუზიაროთ ჩვენს სპონსორებს, პარტნიორებს, რეკლამის განმთავსებლებს, სარეკლამო ქსელებს, სარეკლამო სერვერებს და ანალიტიკურ კომპანიებს ან სხვა მესამე მხარეებს მარკეტინგთან, სარეკლამო აქციებსა და სხვა წინადადებებთან, ასევე პროდუქციის შესახებ ინფორმაციასთან დაკავშირებით. თქვენი ინფორმაცია ასევე შეიძლება გაზიარებული იყოს მესამე მხარეებისადმი, რომლებსაც მიგითითებთ როდესაც მოგვაწვდით თქვენს პირად ინფორმაციას ან სხვაგვარად, თქვენს თანხმობასთან ერთად.

გათამაშებები, კონკურსები და სარეკლამო აქციები: თუ გადაწყვეტთ მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს ერთ-ერთ გათამაშებაში, კონკურსში თუ სხვა სარეკლამო აქციებში, ჩვენ შეიძლება გავუმჟღავნოთ თქვენი ინფორმაცია მესამე მხარეებს ან საზოგადოებას მოცემული სარეკლამო აქციის მართვასთან დაკავშირებით, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და მოცემული სარეკლამო აქციის ჩატარების ოფიციალური წესების შესაბამისად, ან სხვა გზით, მოცემული კონფიდენციალურობის განცხადების შესაბამისად.

ბიზნეს ტრანსფერები. თქვენი პირადი ინფორმაცია მიჩნეულია კომპანიის აქტივად და მესამე მხარისადმი მისი გამჟღავნება ან გადაცემა Subway Group-ის ან მისი რომელიმე ქვედანაყოფის ბიზნესის ან მისი ნებისმიერი აქტივის ან აქციების (მათ შორის, გაკოტრებასა და მსგავს პროცესებთან დაკავსირებით) შემოთავაზებული ან რეალური შესყიდვის, რეორგანიზაციის, გაყიდვის, იჯარით გაცემის, შერწყმის, ერთობლივი საწარმოს სახით გამოყენების, დავალების, გაერთიანების ან ნებისმიერი სხვა ტიპის სემინის, განკარგვის ან დაფინანსების შემთხვევაში, იმისთვის, რომ გააგრძელოთ მესამე მხარესთან იგივე და მსგავსი ურთიერთობა.

სამართლებრივი მიზნებით გამჟღავნება. ჩვენ შეიძლება გავამჟღავნოთ თქვენი ინფორმაცია, თუ ამა საჭიროდ მივიჩნევთ კანონის, სასამართლოში გამოცხადების უწყების ან სხვა სამართლებრივი პროცესის შესაბამისად, თუ მივიჩნევთ, რომ გამჟღავნება საჭიროა ჩვენი შეთანხმებების და წესების აღსრულებისთვის ან თუ მივიჩნევთ, რომ გამჟღავნება დაგვეხმარება Subway Group ან ჩვენი მომხმარებლების ან პარტნიორების უფლებების, საკუთრების და უსაფრთხოების დაცვაში.

როდესაც თანხმობას აცხადებთ. ჩვენ შეიძლება გავუზიაროთ თქვენი ინფორმაცია სხვა კომპანიებს თუ ამის ნებართვას მოგვცემთ ან თუ მიგვითითებთ, რომ გავაზიაროთ თქვენი ინფორმაცია.

Subway Group ინარჩუნებს პასუხისმგებლობას ჩვენს მიერ მესამე მხარეებისადმი ჩვენი სახელით პირადი ინფორმაციის გაზიარებაზე ჩვენი ბიზნესის მუშაობასთან დაკავშირებით და პასუხისმგებლობას ვინარჩუნებთ მოცემული კონფიდენციალობის განცხადების შესაბამისად თუ ჩვენი მესამე მხარეები თქვენს პირად ინფორმაციის დამუშავებისას დაარღვევენ კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ Subway Group დაასაბუთებს, რომ ის არ არის პასუხისმგებელი იმ საკითხზე, რომელმაც გამოიწვია ზარალის მიყენება.

5. სამიზნე რეკლამირება

ჩვენ ვიყენებთ მესამე მხარეების ანალიტიკის და მოკვლევის საშუალებებს, როგორცაა Google Analytics, Adobe Marketing Cloud, Facebook Customer Audience და სხვა, რათა დაგვეხმარონ Subway სერვისებით სარგებლობის გაკვლევაში, სემენტირებასა და ანალიზში და დაგვეხმარონ ჩვენ ან ამ მესამე მხარეებს, რათა მოგაწოდონ უფრო გამიზნული რეკლამა Subway სერვისებსა და ინტერნეტში. ამ საშუალებებმა შეიძლება გამოიყენონ ისეთი ტექნოლოგია, როგორცაა ქუქი-ფაილები, ვებ-შუქურები, პიქსელი ტეგები, ლოგ ფაილები, ფლემ ქუქი-ფაილები ან სხვა ტექნოლოგიები არა-პირადი ინფორმაციის შეგროვებისა და შენახვისათვის.

ჩვენი თხოვნით, ეს მესამე მხარეები ჩვენი თხოვნით აგროვებენ, გვიზიარებენ, იყენებენ ინფორმაციას ჩვენს ვებსაიტებზე სტუმრობის შესახებ, აფასებენ და იკვლევენ ჩვენი რეკლამების ეფექტურობას, თვალყურს ადევნებენ გვერდით სარგებლობას და თუ რა გზებით მოხდა ჩვენს ვებსაიტებზე ვიზიტი, გვეხმარებიან ჩვენს ვებსაიტებზე და სხვა სიატებზე ინტერნეტის ბანერი განცხადებების სამიზნე რეკლამირებასა და თვალყურს ადევნებენ ჩვენი ინტერნეტ ბანერის განცხადებების და ჩვენი მარკეტინგის პარტნიორების სხვა სიტების ჩვენს ვებსაიტებზე ბმულებით სარგებლობას. ისინი ასევე აერთიანებენ Subway სერვისებთან თქვენი ურთიერთობის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას მათ მიერ სხვა წყაროებიდან შეგროვებულ ინფორმაციასთან.

ჩვენ არ გვაქვს წვდომა და არ ვაკონტროლებთ მოცემული მესამე მხარეების მიერ ქუქი-ფაილების ან მოკვლევის სხვა ტექნოლოგიების გამოყენებას. თქვენი ინფორმაციის შეგროვებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით თქვენი რეკლამის არჩევნების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, იხილოთ Subway Group-ის ქუქი-ფაილების წესები. ასევე შეგიძლიათ ეწვიოთ [Adobe ვებსაიტს](#)

მოწყობილებს შორის მოკლევადიანი და/ან თქვენს მოწყობილობებთან კავშირის ბმულის გაწყვეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

6. უარის განცხადება

ქუჩი-ფაილები და სხვა ტექნოლოგიები

მოცემული სერვისების გამოწერაზე უარის განცხადებისთვის გთხოვთ, იხილოთ Subway Group-ის ქუჩი-ფაილების წესები.

მარკეტინგული კომუნიკაცია

თუ თანხმობა განაცხადეთ ჩვენგან მარკეტინგულ კომუნიკაციაზე, შეგიძლიათ მოგვიანებით უარი განაცხადოთ უარის განცხადების მითითებების შესაბამისად, რომლებსაც მარკეტინგულ კომუნიკაციებში გიგზავნით ან შეგიძლიათ ასევე დაგვიკავშირდეთ ზემოთ თავში “როგორ შეიძლება ჩვენთან დაკავშირება” მითითებული საკონტაქტო დეტალების გამოყენებით. იმის მიხედვით, თუ რომელი Subway სერვისებით სარგებლობთ, შეგიძლიათ ასევე შეცვალოთ თქვენი კომუნიკაციის სასურველი პარამეტრები იმ ონლაინ სერვისების პროფილის ნაწილში, რომლითაც სარგებლობთ ან თქვენი მოწყობილობის პარამეტრები. თუ თქვენი მობილური აპლიკაციები იძლევა “push-შეტყობინებების” მიწოდების საშუალებას, შეგიძლიათ ასევე აირჩიოთ მოცემულ შეტყობინებებზე უარის განცხადება თუ შეხვალთ თქვენი მობილური ტელეფონის პარამეტრებში და გადართავთ თქვენი მობილური აპლიკაციის “შეტყობინებების” გადამრთველს პოზიციაში “გამორთვა”.

თუ უარს განაცხადებთ ჩვენგან მარკეტინგული კომუნიკაციის მიღებაზე, ჩვენ მაინც გამოგიგზავნით კომუნიკაციას თქვენი ტრანზაქციების, ცვენთან თქვენი ანგარიშების და ნებისმიერი კონკურსების, შეჯიბრებების, ლატარეების და გათამაშებების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობთ. კომუნიკაციის ერთ ფორმაზე უარის განცხადება არ გულისხმობს თქვენს უარის განცხადებას სხვა ფორმებზე. მაგალითად, თუ უარს განაცხადებთ მარკეტინგული ელ.წერილების მიღებაზე, თქვენ შეიძლება მაინც მიიღოთ მარკეტინგული ტექსტური შეტყობინებები თუ თანხმობა გაქვთ განცხადებული მათ მიღებაზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ იღებთ კომუნიკაციას Subway® ფრანშიზისგან, თქვენ უარი უშუალოდ მასში განაცხადოთ.

ლოიალობის პროგრამა

აშშ და კანადა. Subway® ლოიალობის პროგრამაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია; თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ მონაწილეობა Subway® ლოიალობის პროგრამაში ზემოთ სათაურის “როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ” ქვეშ მითითებული საკონტაქტო დეტალების მეშვეობით, რა შემთხვევაშიც, პროგრამის საშუალებით შეგროვებული მონაცემები წაიშლება იმ მონაცემების გამოკლებით, რომელთა შენახვასაც გვავალდებულებს კანონმდებლობა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ შეიძლება დავიტოვოთ პროგრამის გარდა სხვა ურთიერთობიდან მოპოვებული მონაცემები.

საერთაშორისო. თუ გსურთ უარი განაცხადოთ ლოიალობის საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობაზე, გთხოვთ დაუკავშირდეთ დამოუკიდებელ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის მართვაზე იმ რეგიონში, სადაც რეგისტრირებული ხართ. ყველა დამოუკიდებელი შემსყიდველი ორგანიზაციის და მათი რეგიონების ჩამონათვალი იხილეთ ზემოთ, ნაწილში “შესამე მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია”.

აპლიკაციის მოკვლევის სასურველი პარამეტრები

უარის განცხადება წაშლით. შეგიძლიათ უარი განაცხადოთ *ჩვენი აპ(ებ)ის საშუალებით შეგროვებული* მთელი ინფორმაციის მიღებაზე მოცემული აპ(ებ)ის დეინსტალირებით. შეგიძლიათ გამოიყენოთ სტანდარტული დეინსტალირების, აპლიკაციისა და მონაცემთა მართვის პროცესები, რომლებიც ხელმისაწვდომია თქვენს მობილურ მოწყობილობაში. აპის დეინსტალირების შემდეგ, აპში შენახული მთელი ინფორმაცია, მათ შორის, მდებარეობის და push-შეტყობინებების თქვენთვის გამოგზავნის ნებართვების სასურველი პარამეტრები წაიშლება. აპის დეინსტალირების და სასურველი პარამეტრების წაშლის შემდეგ, აპის push-შეტყობინებების გამოგზავნა შეწყდება. ასევე შეგიძლიათ არ გამოიყენოთ აპლიკაციის ის ფუნქციები, რომლებიც აგროვებენ სპეციფიკური ტიპის მონაცემებს.

მდებარეობის განსაზღვრაზე უარის თქმა. შეგიძლიათ დაარეგულიროთ თქვენი მოწყობილობის პარამეტრები ისე, რომ თქვენი ფიზიკური მდებარეობის შესახებ ინფორმაცია არ გაიგზავნოს ჩვენთან ან მესამე მხარეებთან (ა) მოცემული სერვისების მოწყობილობის პარამეტრებში გაუქმებით; ან (ბ) არ მისცეთ გარკვეულ ვებსაიტებს ან მობილურ აპლიკაციებს მდებარეობის ინფორმაციაზე წვდომის ნებართვა თქვენი მობილური მოწყობილობიდან ან ბრაუზერის პარამეტრებიდან შესაბამისი სასურველი პარამეტრების შეცვლით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი მდებარეობის განსაზღვრა შეიძლება ხდებოდეს თქვენი WiFi-დან, Bluetooth-იდან და მოწყობილობის სხვა პარამეტრებიდან. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თქვენი მოწყობილობის პარამეტრებში.

7. თქვენი კანონიერი უფლებები

გარკვეულ შემთხვევებში, თქვენ გაგაჩნიათ უფლებები თქვენს მონაცემებთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონების შესაბამისად. თქვენ გაქვთ:

თქვენს პირად ინფორმაციაზე წვდომის უფლება. შეგიძლიათ მოითხოვოთ წვდომა თქვენს პირად ინფორმაციაზე. ეს საშუალებას გაძლევთ მიიღოთ თქვენი პირადი ინფორმაციის ასლი, რომელსაც ვინახავთ და შეამოწმოთ, გვაქვს თუ არა მისი ფლობის კანონიერი უფლება. თქვენ შეგიძლიათ გონივრულ ფარგლებში მიწვდეთ თქვენს პირად ინფორმაციას თუ დაუკავშირდებით Subway Group-ის კონფიდენციალურობის ოფისს თქვენი პირადი ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ თქვენგან შეიძლება მოვითხოვოთ სპეციფიკური ინფორმაცია თქვენი ვინაობის და წვდომის უფლების დასადასტურებლად, ასევე იმისთვის, რომ მოვიძიოთ და მოგაწოდოთ თქვენი პირადი ინფორმაცია, რომელიც ჩვენთან ინახება.

ჩვენს მიერ შენახულ თქვენს პირად ინფორმაციაზე წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური. ზოგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა ან მარეგულირებელი მოთხოვნები უფლებას გვაძლევს ან ჩვენგან მოითხოვენ, რომ უარი ვთქვათ თქვენს შესახებ ჩვენთან არსებული მთლიანი ან ნაწილობრივი ინფორმაციის მოწოდებაზე. ასევე, პირადი ინფორმაცია შეიძლება იყოს განადგურებული, წაშლილი ან ანონიმიზირებული. თუ ვერ მოგანიჭებთ წვდომას თქვენს პირად ინფორმაციაზე, ჩვენ შეგატყობინებთ ამის მიზეზებს, სამართლებრივი და მარეგულირებელი შეზღუდვების გათვალისწინებით.

თქვენი პირადი ინფორმაციის ცვლილება ან განახლება. ჩვენ ვცდილობთ ვუზრუნველყოთ, რომ თქვენი პირადი ინფორმაცია, რომელსაც ვფლობთ, იყოს ზუსტი, ახალი და სრული. თუ მიგაჩნიათ, რომ თქვენი პირადი ინფორმაცია არის არასწორი, არასრული ან მოძველებული, შეგიძლიათ მოითხოვოთ ამ ინფორმაციის შემოწმება ან შესწორება. ჩვენ გონივრულ ზომებს მივმართავთ მის შესასწორებლად და საჭიროების შემთხვევაში, გონივრულ ზომებს მივიღებთ იმ აგენტებისადმი, სერვისის პროვაიდერებისა თუ სხვა მესამე მხარეებისადმი შესატყობინებლად, რომელთაც მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია, იმისთვის, რომ მათ მფლობელობაში არსებული ჩანაწერები ასევე შესწორდეს

ან განახლდეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვინარჩუნებთ უფლებას არ, შევცვალოთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიგვაჩნია ზუსტად.

თქვენი პირადი ინფორმაციის წაშლა. თქვენ შეიძლება გვთხოვოთ, რომ წაშალოთ ან ამოვიროტ პირადი ინფორმაცია თუ არ არსებობს ჩვენს მიერ მისი ფლობის კანონიერი მიზეზი. თქვენ ასევე უფლება გაქვთ მოგვმართოთ თქვენი პირადი ინფორმაციის წაშლის ან ამოღების თხოვნით თუ წარმატებით გამოიყენეთ თქვენი უფლება უარი განაცხადოთ მის დამუშავებაზე (იხ. ქვემოთ), თუ ჩვენ თქვენს ინფორმაციას უკანონოდ ვფლობთ ან თუ ჩვენ კანონის შესაბამისად ვალდებული ვიქნებით წაშალოთ თქვენი პირადი ინფორმაცია. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ყოველთვის შეიძლება ვერ დავაკმაყოფილოთ თქვენი წაშლის თხოვნა სპეციფიკური სამართლებრივი მიზეზებით, რომელთა შესახებ გაცნობებთ, საჭიროებისამებრ, თქვენი თხოვნის პერიოდში.

თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებაზე უარის თქმა. გარკვეულ შემთხვევებში, თქვენ უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ ჩვენს მიერ თქვენი ინფორმაციის დამუშავებაზე. ეს უფლება ძალაშია იმ შემთხვევაში თუ ჩვენ თქვენს პირად ინფორმაციას ვფლობთ კანონიერი (ან მესამე მხარის) ინტერესის საფუძველზე, რასაც უფლება გაქვთ შეეწინააღდეგოთ თუ გრძნობთ, რომ ეს ზღუდავს თქვენს ფუნდამენტალურ უფლებებს და თავისუფლებას. ასევე უფლება გაქვთ უარი განაცხადოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენს პირად ინფორმაციას ვფლობთ მარკეტინგის მიზნით. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება დავასაბუთოთ რომ გვაქვს თქვენი ინფორმაციის დამუშავების კანონიერი საფუძველი ან სამართლებრივი ვალდებულებები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება თქვენს უფლებებსა და თავისუფლებასთან შედარებით.

მონაცემთა გადაცემა. თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი პირადი ინფორმაციის თქვენთვის ან მესამე მხარისადმი გადაცემა. ჩვენ თქვენ ან თქვენ მიერ არჩეულ მესამე მხარეს მგაწვდით თქვენს ინფორმაციას სტრუქტურირებული, საყოველთაოდ გამოყენებული, მანქანის მიერ კითხვადი ფორმატით. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს უფლება შეეხება მხოლოდ ავტომატიზირებულ ინფორმაციას, რომელს ჩვენ მიერ გამოყენებაზეც თქვენ თავდაპირველად თანხმობა გამნაცხადეთ ან თუ ჩვენ ეს ინფორმაცია გამოვიყენეთ თქვენთან კონტრაქტის გასაფორმებლად.

კალიფორნიის რეზიდენტების კონფიდენციალობის უფლებები. კალიფორნიის კანონი კალიფორნიის რეზიდენტებს უფლებას აძლევს მოითხოვონ მათი პირადი ინფორმაციის გარკვეული დეტალების მესამე მხარეებისადმი ან ფილიალი კომპანიებისადმი გაზიარება უშუალო მარკეტინგის მიზნებით. თუ თქვენ კალიფორნიის რეზიდენტი ხართ და გსურთ ამ თხოვნით მოგვმართოთ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მისამართზე: privacy@subway.com და მიუთითოთ “ჩემი კალიფორნიის კონფიდენციალობის უფლებები” თემის სტრიქონში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ უარს განაცხადებთ ჩვენგან მარკეტინგული კომუნიკაციის მიღებაზე, ჩვენ მაინც გამოგიგზავნით კომუნიკაციას თქვენი ტრანზაქციების, ჩვენთან თქვენი ანგარიშების და ნებისმიერი კონკურსების, შეჯიბრებების, ლატარეების და გათამაშებების შესახებ, რომლებშიც მონაწილეობთ. კომუნიკაციის ერთ ფორმაზე უარის განაცხადება არ გულისხმობს თქვენს უარის განაცხადებას სხვა ფორმებზე. მაგალითად, თუ უარს განაცხადებთ მარკეტინგული ელ.წერილების მიღებაზე, თქვენ შეიძლება მაინც მიიღოთ მარკეტინგული ტექსტური შეტყობინებები თუ თანხმობა გაქვთ განაცხადებული მათ მიღებაზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ იღებთ კომუნიკაციას Subway® ფრანშიზისგან, თქვან უარი უშუალოდ მასში განაცხადოთ.

თუ გსურთ რომელიმე ზემოხსენებული უფლებით სარგებლობა, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა მოგვაწოდოთ სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება თქვენი ვინაობის დადასტურებაში. ეს არის უსაფრთხოების ზომა, რათა დავრწმუნდეთ, რომ თქვენი პირადი ინფორმაციის გამჟღავნება არ ხდება სხვა პირზე, რომელსაც მისი მიღების უფლება არ აქვს.

8. საერთაშორისო ტრანსფერები და კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმება

ჩვენი ოპერაციების გლობალური ხასიათის გამო, თქვენი პირადი ინფორმაცია შეიძლება გადაგზავნილი და დამუშავებული იყოს შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში, რომლებშიც შეიძლება არ იყოს მონაცემთა დაცვის იგივე დონე, რაც თქვენს ქვეყანაშია. Subway Group-ის კონფიდენციალობის დაცვის პრაქტიკა შეესაბამება ქვეყნის, ეროვნულ, სახელმწიფო და ადგილობრივ მონაცემთა დაცვის და უსაფრთხოების ყველა შესაბამის კანონს.

ჩვენი მომხმარებლებისთვის, რომელთა მიერ Subway მომსახურების გამოყენებას შედეგად მოყვება პირადი ინფორმაციის გადაცემა ევროპის ეკონომიკური ზონიდან (EEA) ან შვეიცარიიდან იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან EEA ქვეყნები, ჩვენ ვიყენებთ ერთ ან მეტ შემდეგ მექანიზმს: ევროკავშირის-აშშ-ის კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმება, შვეიცარია-აშშ-ის კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმება, სტანდარტული საკონტრაქტო დებულებები და პირის თანხმობა.

The Subway® Group-ის მომსახურების საწარმო Franchise World Headquarters (FWH), და ჩვენი სხვა აშშ-ის ფილიალები. Doctor's Associates LLC, Franchisee Shipping Center Co., LLC, FWH Technologies, LLC, Subway Franchisee Advertising Fund Trust, Ltd., Subway IP, Inc., Subway MyWay, LLC, Subway Realty, LLC, Subway Real Estate, LLC, აკმაყოფილებენ ევროკავშირი-აშშ-ის კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმებისა და შვეიცარია-აშშ-ის კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს, როგორც ეს ჩამოყალიბებულია ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ, პირადი ინფორმაციის ევროპის ეკონომიკური ზონიდან (EEA) შვეიცარიასა და შეერთებულ შტატებში გადაგზავნის თაობაზე. ჩვენმა აშშ-ის ფილიალებმა მოგვცეს იმის გარანტია, რომ დაიცავენ კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების შეტყობინების, არჩევანის, შემდგომ გადაცემასთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულების, უსაფრთხოების, მონაცემთა საიმედოობისა და შეზღუდვის, წვდომის, რეგრესისა და პასუხისმგებლობის პრინციპებს. იმ შემთხვევაში, თუ იქნება დავა მოცემული კონფიდენციალობის წესებისა და კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპების თაობაზე, უპირატესობა მიენიჭება კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპებს. დამატებითი ინფორმაცია კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პროგრამის თაობაზე და ჩვენი სერტიფიკაციის გვერდის შესახებ ეწვიეთ <https://www.privacyshield.gov>.

Franchise World Headquarters და აშშ-ს სხვა ფილიალები თანამშრომლობენ ევროპის მონაცემთა დაცვის უწყებებთან (DPAs) და შვედეთის მონაცემთა დაცვის და ინფორმაციის კომისართან (FDPIC) და იცავენ ასეთი უწყებების რჩევას ადამიანის რესურსების და არა-ადამიანის რესურსების მონაცემების ევროკავშირიდან შვეიცარიაში გადაგზავნის მოთხოვნებს..

დიდი ბრიტანეთი-აშშ-ის და შვეიცარია-აშშ-ის კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპების შესაბამისად, Franchise World Headquarters და მისი აშშ-ის ფილიალები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, რომ გადაჭრან ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობასა და თქვენი პირადი ინფორმაციის შეგროვებასთან. ევროკავშირის და შვედეთის პირები, რომელთაც აქვთ შეკითხვები ან საჩივრები კონფიდენციალობის მოცემულ განაცხადთან დაკავშირებით, თავიდან უნდა დაუკავშირდნენ Subway'-ის კონფიდენციალობის ოფისს (*იხილეთ ზემოთ "როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ"*).

Franchise World Headquarters და აშშ-ის სხვა ფილიალები ექვემდებარება ვაჭრობის ფედერალური კომისიის (FTC) გამოძიებისა და აღსრულების უფლებამოსილებას კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით. გარკვეულ სიტუაციებში, თუ თქვენი საჩივარი უშუალოდ ჩვენთან წარმატებით არ გადაიჭრება, შეგიძლიათ საჩივრები

კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპთან დაკავსირებული საჩივრები გაუგზავნოთ თქვენს მონაცემთა დაცვის უწყებას (DPA): http://ec.europa.eu/justice/data-protection/article-29/structure/data-protection-authorities/index_en.htm, რომელიც შექმნის საბჭოს კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპებთან დაკავშირებით საჩივრების გამოძიებისა და დაკმაყოფილებისათვის. ჩვენ სრულიად დავიცავთ DPA-ების რჩევას და საჭირო ზომებს მივიღებთ კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპებთან ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში. დავების ასე დამოუკიდებლად გადაჭრის მექანიზმები უფასოდ მისაწვდომია აშშ-ისა და შვეიცარიის მოქალაქეებისთვის. ამასთანავე, შეიძლება არბიტრაჟის უფლება გქონდეთ კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპების საფუძველზე.

9. რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს ინფორმაციას

კანონით დასაშვებ ფარგლებში, შევინახავთ თქვენს პირად ინფორმაციას თუ (1) ის საჭიროა იმ მიზნებისათვის, რომელთა გამოც ის მოვიპოვეთ და კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპების შესაბამისად (2) ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი კანონიერი საფუძველი, რომელიც მითითებულია მოცემულია კონფიდენციალობის დაცვის წესების შესახებ შეთანხმების პრინციპებში ან, შეგროვების დროს, ამ ინფორმაციის შესანახად უფრო მეტი ვადით ვიდრე ეს საჭიროა პირადი ინფორმაციის მიღების თავდაპირველი მიზეზებით. თუ ამ მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველი დამყარებული იქნება მხოლოდ თანხმობაზე, ჩვენ წავშლით პირად ინფორმაციას თუ მოცემული თანხმობა გაუქმდება.

10. ბავშვების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა

ჩვენი სერვისები არ არის გათვალისწინებული 13 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ან, იურისდიქსიის მიხედვით, მოცემული ასაკის ეკვივალენტური მინიმალური ასაკის ბავშვებისთვის

თუ თქვენ ხართ მშობელი ან კანონიერი მზრუნველი და მიგაჩნიათ, რომ შესაძლოა ჩვენ გვქონდეს თქვენი ბავშვის შესახებ შეგროვებული ინფორმაცია, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ როგორც აღწერილია თავში “როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ.”

თუ ჩვენ შევიტყობთ, რომ შემთხვევით შევავროვეთ 13 წლამდე ასაკის ბავშვის პირადი ინფორმაცია ან იურისდიქსიის მიხედვით, მოცემული ასაკის ეკვივალენტური მინიმალური ასაკის ბავშვის შესახებ ინფორმაცია, ჩვენ მივიღებთ ზომებს ამ ინფორმაციის რაც შეიძლება მალე წასაშლელად.

11. ჩვენი უსაფრთხოება

ჩვენ ვალიარებთ, რომ თქვენი პირადი ინფორმაციის დაცვა მნიშვნელოვანია. ჩვენ ვიცავთ თქვენს ინფორმაციას უსაფრთხოების ზომების, მათ შორის, ფიზიკური, ადმინისტრაციული და ტექნიკური დაცვის მექანიზმების გამოყენებით, თქვენი პირადი ინფორმაციის დაკარგვის, ბოროტად გამოყენების მასზე უკანონო წვდომის, გამჟღავნების, მოდიფიკაციის რისკის შესამცირებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიყენებთ უსაფრთხოების ტექნოლოგიებსა და პროცედურებს თქვენი პირადი ინფორმაციის დასაცავად, ვერც ერთი სისტემა ვერ მოგცემთ ამის 100%-იან გარანტიას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ ვერ ვუზრუნველყოფთ ან არ ვიძლევიან ჩვენთვის გადმოცემული ინფორმაციის უსაფრთხოების გარანტიას. თუ იყენებთ Subway სერვისებს და თქვენს შესახებ ინფორმაციას გვაწვდით საკუთარი რისკის ქვეშ.

12. ჩვენი ჯგუფის კომპანიები

აქ მითითებულია ჩვენი საწარმოების ჩამონათვალი, რომლებიც მონაწილეობენ თქვენი პირადი ინფორმაციის დამუშავებაში:

შპს Doctor's Associates
შპს Franchise World Headquarters
შპს FWH Technologies
შპს Sandwich and Salad Franchises of South Africa (Proprietary)
SJ Marketing G.K.
შპს Subway Brand Management & Consultant (მანხაი) Co.,
Subway Franchise Systems of Canada, ULC
Subway Franchisee Advertising Fund Trust B.V. Sucursal Argentina
Subway Franchisee Advertising Fund of Australia Pty. Ltd.
Subway Franchisee Advertising Fund Trust B.V.
Subway Franchisee Advertising Fund Trust Ltd.
Subway Franchisee Canadian Advertising Trust
Subway Franchisee Gift Certificate Management Company, LLC
Subway International B.V. - ეკვადორი
Subway International B.V. - სამხრეთ კორეის ფილიალი
Subway International B.V. - ტაივანის ფილიალი
Subway International B.V.
Subway International de Mexico, S. de R.L. de C.V.
შპს Subway IP
Subway Japan G.K.
შპს Subway MyWay of Canada
შპს Subway MyWay
Subway Partners Colombia C.V.
Subway Systems Colombia S.A.S.
Subway Realty e Desenvolvimento de Software do Brasil Ltda.
Subway Realty Limited
Subway Realty of France EURL
Subway Realty of Italy S.r.l.
Subway Realty of Spain, S.L.U.
Subway Realty of the Netherlands B.V. Merkezi Hollanda Istanbul Merkezi Şubesi
Subway Subs of Canada, ULC
Subway Systems Australia Pty. შპს
Subway Systems do Brasil Ltda.
Subway Restaurant Management (მანხაი) Co.შპს
Subway Systems India Private Limited
Subway Systems Middle East FZ-LLC
Subway Systems Singapore Pte. შპს
Subway Vermietungs-und Servicegesellschaft mbH
Subway Vermietungs-und Servicegesellschaft G.m.b.H. -organizachi slozka (Czech Republic)

მადლობას მოგახსენებთ ჩვენი კონფიდენციალურობის განცხადების წაკითხვისთვის. თუ რაიმე შეკითხვები გაქვთ ამ განცხადების შესახებ ან იმის თაობაზე, თუ როგორ ვამუშავებთ პირად ინფორმაციას, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ თავის “როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ” ქვეშ მითითებულ, საკონტაქტო დეტალებზე.

თუ თქვენს პრობლემას ვერ გადავჭრით, თქვენ გაქვთ უფლება დაუკავშირდეთ მონაცემთა კონფიდენციალურობაზე ზედამხედველ უწყებას იმ ქვეყანაში, სადაც ცხოვრობთ ან

მუშაობთ, ან თუ მიგაჩნიათ, რომ მონაცემთა დაცვის კანონები დაირღვა და მოითხოვთ კომპენსაცია სასამართლოს საშუალებით.